ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N047/2018
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი **„18“ სექტემბერი 2018 წ.**

ერთის მხრივ **სსიპ - კონკურენციის სააგენტო** (შემდგომში ,,დამკვეთი”), წარმოდგენილი ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის **რევაზ კავთელიშვილის** სახით და მეორეს მხრივ **შპს „ტელკო სისტემს”** (შემდგომში ,,შემსრულებელი”), წარმოდგენილი მისი დირექტორის **ირაკლი გულიაშვილის** სახით, ერთობლივად წოდებული, როგორც „მხარეები“, ვხელმძღვანელობთ რა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის, აგრეთვე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის საფუძველზე და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ'' (შემდგომში ,,ხელშეკრულება) ''შემსყიდველსა“ და ''მიმწოდებელს'' შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ,მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2,,ხეშეკრულების ღირებულება'' - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს ''შემსყიდველმა''
''მიმწოდებლის'' მიერ ხეშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 ,,დღე'', ,,კვირა'',,თვე''- კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. ,,შემსმყიდველი''-ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. ,,მიმწოდებელი''-პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6.,,შესყიდვის ობიექტი''- ხეშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხეშეკრულების ობიექტი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ქსელის კაბელის (CPV-32421000) სახელმწიფო შესყიდვა.
2.2. ხელშეკრულების საგნის აღწერილობა და ფასები მოცემულია დანართი N1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1.ხეშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში შეადგენს **203,70 (ორასსამი ლარი და 00 თეთრი) ლარს.**
3.2.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტის შესყიდვასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადა და ადგილი

4.1 ''მიმწოდებელი'' შესყიდვის ობიექტის მიწოდებას უზრნველყოფს ხეშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში;

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაში არ ჩაითვლება დროის ის პერიოდი,რომლის განმავლობაშიც ის შეჩერებულია „შემსყიდველის'' მიზეზით.
4.3.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ.თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 29ა.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1.შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ მხარეებს შორის შესაბამისი მიღება -ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2.მიღება-ჩაბარების აქტში ნაჩვენები უნდა იქნას მიწოდებული მომსახურების ღირებულება.
5.3.''მიმწოდებელი'' ვალდებულია ''შემსყიდველის'' მხრიდან მოთხოვნილი უნაკლო მომსახურების მიწოდების დადასტურებისა და ანაზღაურების მიღების მიზნით ''შემსყიდველს'' შესყიდვის ობიექტთან ერთად წარმოუდგინოს შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია.

5.4. ''შემსყიდველის'' მხრიდან მიღება- ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება სსიპ კონკურენციის სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს რევაზ კავთელიშვილს, რომელიც არ იმყოფება ''მიმწოდებელთან'' ინტერესთა კონფლიქტში, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან **შპს „ტელკო სისტემს"-ის** დირექტორი ირაკლი გულიაშვილი.

6.ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მხარეების მიერ ხელსეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
6.2.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტობრივად მიწოდებული მომსახურების შესაბამისად, მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე (არსებობის შემთხვევაში), მისი გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. „შემყიდველი" უფლებამოსილია;
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს ''მიმწოდებლის'' მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
ბ) მომსახურების მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.
7.2. „შემსყიდველი'' ვალდებულია;
ა)უზრუნველყოს „მიმწოდებლის'' შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
ბ) უზრუნველყოს წარმომადგენლის გამოყოფა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს პროცესს და საჭიროების შემთხვევაში, "მიმწოდებელს'' გაუწევს შესაბამის კონსულტაციას.

7.3 '''მიმწოდებელი'' უფლებამოსილია;
ა) მოსთხოვოს "შემსყიდველს'' მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხეშეკრულებით გათვალიშწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. ''მიმწოდებელი'' ვალდებულია;
ა) მომსახურება გაუწიოს სათანადო ხარისხით, გარანტიით და სრული მოცულობით ზემოაღნიშნული ხეშეკრულების პირობების შესაბამისად;
ბ) დროულად განიხილოს „შემსყიდველის'' მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხეშეკრულების შესრულებასთან.

7.5.თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხეშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხეშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს ''შემსყიდველის'' მიერ ხელშეკრულების დადების მომენტისთვის შესაბამისად განსაზღრული პირი ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი რევაზ კავთელიშვილი.
8.2. ინსპექტირება გულისხმობს ''მიმწოდებლის'' მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლს.
8.3. ''მიმწოდებელი'' ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ''შემსყიდველი'' ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, სხვა სამუშაო პირიბებით. იმ შემთხვევაში, თუ ''შემსყიდველი'' ინსპექტირების მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნვეყოფს თვით ''შემსყიდველი''.
8.4. ინსპექტირების შედეგად ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ''მიმწოდებელს'' საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.5 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს ''მიმწიდებელს'' მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისგან.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნათ შესრულების შემთხვევაშუი მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0,5 % - ის ოდენობით.
9.2.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, „მიმწოდებელი" ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3% -ის ოდენობით.
9.3 იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგამსატეხლო ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, „შემსყიდველი" იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს „მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.
9.5 პირგასამტეხლოს გამოთვლისას არ გამოიანგარიშება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირებისათვის გახარჯული დრო
9.6 გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრასთან დაკავშირებით ინსპექტირების ჯგუფის მიერ განსაზღვრული და „შემსყიდველთან" შეთანხმებულ ვადაზე არ ვრცელდება საჯარიმო სანქციები.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუველზე, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია. თუ ამ ცვლილებების შედეგათ იზრდება ხელშუკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისთვის" გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398- ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივდა მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.4 მხარე ვალდებულია 10.3 პუნკტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
10.5 ხელშეკრულობა ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11.ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებას რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 5 (ხუთი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გდაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლელებების შეტანის შეთანხმების გზით.

12.ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსროლებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
12.2 თუ ერთ-ერთი მხარე ფორს-მაჟორული მდგომარეობის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისგან.
12.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული მდგომარეობის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავები და მისი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა უთანხმოება და დავა გადაიჭრება ურთიერთ შეთანხმების გზით. შეთანხმების მოუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებასილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინდამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებამდე, არაუგვიანეს 2018 წლის 31 ოქტომბრისა.

15. შესყიდვის ობიექტის სტანდარტები

15.1 ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული მომსახურების სპეციფიკაციები უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ სტანდარტებსა და ტექნიკურ ნორმებს.

16. სხვა პირობები

16.1 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა „შემსყიდველს", ხოლო ერთი ეგზემპლარი „მიმწოდებელს"

17. საქონლის საგარანტიო ვადები

17.1. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს უარი განაცხადოს წუნდებული საქონლის მიღებაზე.

18. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

სსიპ - კონკურენციის სააგენტო
ს/კ 205310938
მის: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ N154
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ხაზინის ერთიანი ანგარიში

ადმინისტრაციულ დეპარტამენტის უფროსი

რევაზ კვათელიშვილი

„მიმწოდებელი"

შპს „ტელკო სისტემს"
ს/კ 205203279
იურიდ მის: ქ.თბილისი, ნუცუბიძის 221, კორპ. 1ა, ბ.33
საბანკო რეკვიზიტი სს „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი TBCBGE22
ა/ა GE75TB 4021 5360 2010 0006

დირექტორი

ირაკლი ფულიაშვილი

დანართი N1

N	საქონლის დასახელება	CPV	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	თანხა ჯამში (ლარი)
1	ქსელის კაბელი UTP CATE5E 24AWG 100% CU – 305 მეტრიანი ხვია	32421000	1 ცალი	203.70	203.70
	ჯამი				203.70

„შემსყიდველი“

სსიპ - კონკურენციის სააგენტო
ს/კ 205310938
მის: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ N154
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ხაზინის ერთიანი ანგარიში

ადმინისტრაციულ დეპარტამენტის უფროსი

რევაზ კვეთელიშვილი

„მიმწოდებელი“

შპს „ტელკო სისტემს“
ს/კ 205203279
იურიდ მის: ქ.თბილისი, ნუცუბიძის 221, კორპ. 1ა, ბ.33
საბანკო რეკვიზიტი სს „თიბისი ბანკი''
ბანკის კოდი TBCBGE22
ა/ა GE75TB 4021 5360 2010 0006

დირექტორი

ირაკლი გულიაშვილი